შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში

შალვა ამირანაშვილი

აკადემიკოსი

შოთა რუსთაველი. მინიატურა ხაზასელი ხელნაწერიდან. XII—XIII ს., XV ს.

ჩვენი ნარკვევის მიზანს წარმოადგენს მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით განვიხილოთ დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში. როგორც ცნობილია, ჩვენამდის მოაღწია დიდი პოეტის სამმა პორტრეტულმა გამოსახულებამ. პირველი ცნობა იერუსალიმის ჯვრის ქართულ სავანეში დაცულ შოთა რუსთველის ფრესკული გამოსახულების შესახებ ეკუთვნის XVIII საუკუნის ცნობილ ქართველ მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ „ჯვრის მონასტერი დაძველებული და გუმბათის ქვეთ სავსტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთაჰს რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცეს (ს). თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“ *.

შოთას მეორე პორტრეტული გამოსახულება დაცულია „ეკეგზისტეარიონის“ ხელნაწერში H 599, რომელიც გადაწერილია 1648 წელს კალიგრაფ-მინიატურისტის მამუკა თავაქარაშვილის მიერ ლევან II დადიანის ბრძანებით. ხელნაწერის დასაწყისში მოთავსებულია მინიატურა, გაყოფილი ორ ნაწილად. ზემო ნაწილში მოთავსებულია ლევან II დადიანი, ხახუბიდან მორთული, მუდმივრე პოზაში, ხოლო ქვემო ნაწილში წარმოდგენილია შოთა რუსთველი, რომელიც უკარნახებს პოემის ტექსტს მამუკა მდივანს. პოეტი დახატული ყოფილა უწყვრიტად, ულაშებოთ, მაგრამ შემდეგ ვიღაცას მელნით, მუტად უხეშად მოუსატავს წვერი. მინიატურა განმარტებულია ნაწილობრივ დაზიანებული მინაწერით: (მამუკა მდი) ვანთან რუსთველი ამ წიგნ(ს).

* ტიმოთე გაბაშვილი, მიმოხილა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოცემული, ლექსიკონი და სასიტყვაო დაურთო გლ. მელიქიშვილმა, თბილისი, 1956, გვ. 80.



გიორგი III. ბეთანია

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება, შესრულებული ცალკე ფურცელზე, რომელიც უთუოდ ამოღებულია «ევფხისტყაოსნის» დასურათებული ხელნაწერიდან; როგორც გამორკვეულია პ. ინგოროყვას მიერ, ეს არის ეგრეთწოდებული ზაზასეული ხელნაწერიდან ამოღებული მინიატურა, რომლის ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

სამიგე პორტრეტული გამოსახულების დაწვრილებითი შესწავლა, როგორც დავინახავთ, ძვირფას მასალას გვაწვდის ქართული საერო პორტრეტული მხატვრობის შესახებ და ამავე დროს დოკუმენტური ხასიათის ცნობებს გვაწვდის დიდი პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხის დადგენისათვის. პირველ რიგში უნდა გავარჩიოთ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცული რუსთველის პორტრეტული გამოსახულება **.

** რედაქციის შენიშვნა: აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის კრებული გამოცემული — „შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში" დაიბეჭდა „საბჭოთა ხელოვნების" № 4, 1961 წელს. მას შემდეგ ავტორმა განაგრძო ამ საკითხზე მუშაობა და ამჟერად გთავაზობთ მის მიერ მიკვლეულ ახალ მასალებზე აგებულ ნარკვევს, რომელიც ესესებს და აგრძელებს ჩვენს ჟურნალში (1961, № 4) გამოქვეყნებულ ნაშრომს.

შოთა რუსთველის მეორე პორტრეტული გამოსახულება შესრულებულია იმერეთის მეფის მდივნისა და კალიგრაფის მამუკა თავაქარაშვილის მიერ მისი ტყვეობაში ყოფნის დროს, ლევან II დადიანის ბრძანებით მან გადაწერა და დასურათა «ევფხისტყაოსნისა» ხელნაწერი 1848 წ. (13 ივნისიდან 18 აგვისტომდე) ხელნაწერში მოთავსებულია 39 მინიატურა, რომელთაგან ერთი, სახელდობრ 38-ე წარმოადგენს მინიატურისტის ავტოპორტრეტს (ფ. 267). მინაწერი ადასტურებს კალიგრაფ მხატვრის ვინაობას (ქ: აქა ამისი მწერალი მდივანი მამუკა ხელს ზ/ედა ზის ვინც...)

ხელნაწერის დასაწყისში მოთავსებული პირველი მინიატურა ორ ნაწილადაა გაყოფილი [1]. ზემო ნაწილში ხალიჩაზე ზის ლევან II დადიანი, ზურგი მაყრდნობილი აქვს დორბზე. მარჯვნივ და მარცხნივ დგას ორი კარისკაცი. ლევან მეორეს აქვს საბეჭდი წამოსასხამი და გვირგვინი. ხალიჩაზე მოთავსებულია სპარსული წარწერა ლევან. ის რომ აქ გამოსახულია ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი, მტკიცდება ამ ხურათის შედარებით უკანასკნელის პორტრეტულ გამოსახულებებთან, რომლებიც დაცულია წალენჯიხის, კოცხერის და ხობის ფრესკულ მხატვრობაში და აგრეთვე მრავალრიცხოვან ნაკუდ ხატებზე.

მინიატურის ქვემო ნაწილში მჯდომარე პოზაში გამოსახულია შოთა რუსთველი, რომელიც უკარნახებს მდივანს პოემას. ხურათი განმარტებულია მინაწერით [მდი] ვინაჲ რუსთველი ამ წიგნ.(...) პოეტი დახატულია უწყვეროდ, მოკლე ულვაშებით, მაგრამ შემდეგ უცნობ პირს შავი საღებავით უხეშად მოუხატავს პოეტისათვის წვერი და დაუგრძელებია ულვაშები. შავი საღებავით დაფარულია აგრეთვე თავსაბურავი. ეს კარგად ჩანს ინფრა წითელი და ინფრაიისფერ სხივებში გადაღებულ ხურათებზე. პოეტს აქვს წამოსასხამი, რომელიც მხოლოდ დიდი მოხელეებისათვის იყო განკუთვნილი.

ხელნაწერის ყველა მინიატურა შესრულებულია უშუალოდ თვით მამუკა მდივნის მიერ, გარდა ერთისა, რომელიც ამოღებულია სხვა ხელნაწერიდან და ახასიათებს თინათინის გამეფებას (ფ. 14). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტოპორტრეტის მოთავსება მხატვრობაში ძველად საქართველოში მიღებული ყოფილა. ბედიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე დახატულია მხატვარი-უხუცესი, ხარხაში [2] — სარგის II (1334 წ.) ახაზცხის ხპასალარი და მხატვარი-უხუცესი». მღვდელმონაზონი მარკოზი, ტომით ქართველი (XVI), მომხატველი ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე, გამოსახულია ტაძრის მოხატულობაში [3].

მამუკა მდივნის მიერ შესრულებული მინიატურების მხატვრულ-ისტორიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ მხატვარს ხელთ არ ჰქონია პოემის ძველი ილუსტრაციები. იგი დამოუკიდებლად მუშაობდა და მოლიანად აღბეჭდა XVII საუ. დასავლეთ საქართვე-

[1] Е. Такаишвили, Описание рукописей, т. II, стр. 669—672.
[2] З. ამირანაშვილი, ბეჭა ოქიზარი, თბილისი, 1956, გვ. 10.
[3] З. ამირანაშვილი, ქართ. კედლის-მხატვრობის ლექსიკონი, ალილ, თბილისი, 1925, გვ. 43.

ლის ყოფა-ცხოვრება. ჩვენს განკარგულებაშია მახალა XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ისტორიის გასაცნობად. კოლხეთის აღწერა მისიონერ ლამბერტის მიერ [4], პატრი კასტელის ნახატების კოლექცია (პალერმოში) [5], დიაკ ელიანისა და მღვდლის პავლე ზახარიევის ელჩობა სადადიანოში (1639—1640) [6], შარდენის მოგზაურობა [7], წალენჯიხის, კოცხერის, ხობის, მარტვილის ფრესკები, ქართული მინიატურები და XVII საუკ. ქართული მხატვრული მწერლობა. ამ მასალების შეხწავლა საგანგებო ნათელმყოფს, რომ მამუკა მდივანმა რუსთველის პოემის ილუსტრაციებში აღბეჭდა XVII საუკ. დასავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრება.

ვინ არის მამუკა მდივანი? დღეს ეს საკითხი საგანგებო გარკვეულია [8]. მამუკა, გვარით თავაქალაშვილი, თავაქარაშვილი, ეკუთვნის იმერეთის სამეფოს მდივნების სახელოვან გვარს, რომელშაც XVI-XVII სს მანძილზე რამდენიმე გამოჩენილი მწიგნობარი, კალიგრაფი მოგვცა [9]. როგორც დადგენილია, 1634 წელს ჩაუვარდა ტყვედ ლევან დადიანს იმერეთის მეფის გიორგის მდივანი მამუკა თავაქალაშვილი [10]. მამუკას ლიტერატურული მოღვაწეობა ლევან დადიანის კარზე მიმდინარეობდა 1634-1657 წლებში; მამუკასთან ერთად ლევან დადიანს ტყვედ ჩაუვარდა ბარძიმ ვაჩნაძე. ლევან დადიანის შეკვეთით მამუკა თავაქალაშვილს და ბარძიმ ვაჩნაძეს გაულექსავთ «ხაამიანი» და «ზაქიანი» [11].

მამუკას აწუხებდა ტყვეობაში ყოფნა. ხელნაწერში მოიპოვება მინაწერები, სადაც იგი გამოთქვამს თავის გულისწყრომას. ფ: 20: ქ..ღმერთო დაიხსენ მძლეველები ამ განსაცდელიდამ აქედამ, მშვიდობით წაიყვანე თავის ქვეყანასა ამინ კირიალეისონ». ხელნაწერში დასტულია დედოფალი რიდამი შემდეგი მინაწერით: «ქ. დედოფალი რიდამის: წყალობა ამის დამწერისა». სტილით, შესრულების მანერით სურათი იმავე ოსტატის ხელითაა შესრულები, ვინც დაასურათა «ევფხისტყაოსნისა» ხელნაწერი. ხელნაწერში მოთავსებულია მრავალი მინაწერი კრიპტოგრაფიული ასოებით: ქართულ, თურქულ და ბერძნულ (?) ენაზე, რომელთა გარჩევას ვუძღვნი ცალკე ნარკვევს.

ამრიგად არკვევა, რომ მამუკას მიერ შესრულებული შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება ემყარება ძველ ტრადიციას, სახელდობრ ჩვენში მიღებული

თამარ მეფე [illegible]

ტრადიციის თანახმად «ევფხისტყაოსანი» დაწერილი ყოფილა პოეტის ახალგაზრდობის დროს.

შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება, რომელიც ამჟამად გავრცელებულია ჩვენში, მომდინარეობს, როგორც დადგენილია, «ევფხისტყაოსნისა» ამ ხელნაწერიდან, რომელიც ერეკლე მეფის ასულს თეკლე ბატონიშვილს ეკუთვნოდა. ეს ხელნაწერი, რომელშაც XIX ს. შუა წლებამდე მოთავსებული ყოფილა შოთა რუსთველის მინიატურა, 1935 წ. აღმოაჩინა გიორგი ლეონიძემ [12] ვ. ს. ვორონცოვის არქივში და ამჟამად იგი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (№ Q. 1082), ხოლო შოთას მინიატურა — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. მინიატურა წარმოადგენს დედანს, რომლიდანაც მხატვარმა გაკარინმა გადმოიღო შოთას პორტრეტი [13].

ამ სურათის შესახებ მრავალი საყურადღებო დაკვირვება იყო გამოთქმული, უპირველეს ყოვლისა, გ. გაკარინის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი შოთას პორტრე-

[4] არქანგელი ლამბერტი, სამეგრელის აღწერა, იტ. ნათარგმნი ილ. ჭელიძის მიერ, თბილისი, 1901.

[5] კასტელის (Castelli Cristaphore) ნახატების კოლექცია დაცულია ჟ. პალერმის კომუნ. ბიბლიოთეკაში, 4 ტ. ნაწ. სურათებისა გადაღებული ვ. თამარაშვილის მიერ (137 ნახ.) ფოტო-ნეგატივები ინახება საქ. ხელ. მუზ.

[6] Посольство дьяка Елчина и священника Павла Захарьева в Дадиванскую землю 1639—1640 гг. А. Белокуров, Материалы по русской истории.

[7] Chardin, Voyage de Paris à Ispahan. Paris 1830.

[8] ა. ბარამიძე, შენიშვნები შარანგეს ქართული ვერსიების შესახებ, საქართველოს არქივი, თბილისი, 1927. III, გვ. 66-68.

[9] ტ. ფალიაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 343—347.

[10] ტ. ფალიაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი 1958, გვ. 344.

[11] ტ. ფალიაძე, იგივე შრომა, გვ. 345-347.

[12] გ. ლეონიძე, ევფხისტყაოსნის ხელნაწერი (წინასწარი ცნობა) ლიტერატურული მემკვიდრეობა, თბილისი, 1935, გვ. 19-36

[13] Gagarin. Le Caucase pittoresque. Paris. 1847. pl XI.

თამარ მეფე. ბეთანია

ტულ გამოსახულებას მართებულად სთვლიდა ძველი ქართული მხატვრობის ნაწარმოებად, ხოლო სურათის დეკორატიულ ჩარჩოს — სპარსული ხელოვნების ნიმუშად. მინიატურების მხატვრულ-ისტორიულ გარჩევას სათანადო ადგილი დაუთმო თავის საყურადღებო შრომაში პაველ ინგოროყვამ, რომელმაც იგი დაათარიღა XV საუკუნით [14].

ამქამად, ამ ძეგლის შესწავლამ, განსაკუთრებით ულტრა იისფერ და ინფრა წითელ სხივებში გაშუქებამ და ფოტოქრირებამ (შეასრულა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოგრაფმა ივ. გილგენდორფმა), გამოაფლინა დღემდე სავსებით უცნობი ფაქტი, რომლის გათვალისწინება დოკუმენტურ მასალას გვაძლევს შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულების დათარიღებისათვის და, ამავე დროს, შეიცავს ახალ მასალას დიდი პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთი ფაქტის დასადგენად.

[14] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თბილისი, 1963, გვ. 240-252, 873-882.

შოთას პორტრეტული გამოსახულება მოთავსებულია ქაღალდის ცალკე ფურცლებზე, რომლის სიგრძე უდრის 35 სანტიმეტრს, ხოლო განი კი 25 სანტიმეტრს არ აღემატება. უპირველეს ყოვლისა, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ შოთას გამოსახულება მოცემულია მაღალი ხარისხის ქაღალდზე. იგი მსგავსია ასტრონომიულ-ასტროლოგიური შინაარსის დასურათებული ხელნაწერისა H 85 (საეკლესიო მუზეუმის ფონდი), რომელიც დათარიღებულია ზუსტად 1188 წლით და ამავე ფონდში დაცული ხელნაწერისა H 109 (გადაწერილი და დასურათებულია XII—XIII სს. მიჯნაზე).

პორტრეტს დაკრული აქვს ჩარჩო-ბორდიური, ნაწილობრივ დაზიანებული, რომელიც შემოზღუდავს პოეტის გამოსახულებას. თავისი ხარისხით ქაღალდი, რომელზეც შესრულებულია სურათის ჩარჩო, ძალზე განსხვავდება ამ ქაღალდისაგან, რომელზეც დაწერილია შოთა რუსთველის გამოსახულება. იგი ეკუთვნის XV—XVI სს. მიჯნას. ამრიგად ირკვევა, რომ რუსთველის პორტრეტული გამოსახულება და მისი ჩარჩო-ბორდიური მთელი საუკუნეებით არიან დაშორებული ერთიმეორისაგან. ამას ადასტურებს, უპირველეს ყოვლისა, თვით ქაღალდის ხარისხის შედარება.

ჩარჩო-ბორდიური, სტილის მიხედვით, ენათესავება ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ამ მოტივებს, რომელიც ჩვენში ჩაისახა XV ს. მიწურულში და გავრცელდა XVI ს. პირველ ნახევარში. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სამცხე-საათაბაგოში 1502 წელს დაწერილი ოთხთავის (№ 28) მორთულობა, რომელიც დაცულია ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და XVI ს. პირველი ნახევრის სხვა ქართული ხელნაწერები [15]. ანალოგიურ მოვლენას ადგილი აქვს ამავე პერიოდის ირანულ მხატვრულ ხელნაწერებში [16]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყვავილების სტილიზებული მორთულობა შესრულებულია ოქროს ფუძეზე. ყვავილების წნულების ფონზე აღგილად მოთავსებულია პირუტყვების სახეები (ლომისა და კურდღლის თავები), რაც დამახასიათებელია ქართული მხატვრული მორთულობისათვის და უცხოა ირანული დასურათებული ხელნაწერებისათვის. ცხოველთა გამოსახულება ხელნაწერთა ბორდიურების მორთულობაში ცნობილია შუა აზიაში დასურათებულ ხელნაწერებში; მათი ფორმა, გამოსახულებათა სტილი და შესრულების მანერა მეტყველებს ჩინური ხელოვნების გავლენაზე. შოთა რუსთველის მინიატურის ბორდიური შესრულებულია არა უგვიანეს XV საუკუნის მიწურულისა, სახელდობრ ამ დროს, როდესაც შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება განახლებული იყო ქართველი ოსტატის მიერ.

ცნობილია, რომ რუსთველის მინიატურა გარკვეულ პერიოდში მოთავსებული ყოფილა თეკლე ბატონიშვილის კუთვნილ ავეფხისტყაოსნის ხელნაწერში (ე. წ. ზაზასეულ ხელნაწერში), რომელიც გადაწერილია და მხატ-

[15] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 379-380.

[16] E. Kühnel. La miniature en Orient. Paris 1922. p. 70

ერულად მორთულია ოქროთი ნაწერი ბორდიურებით XVII ს. მეორე ნახევარში. ამ ხელნაწერის მორთულობის შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ სტილისა და შესრულების მანერით იგი საესებით ენათესავება ბეგთა-ბეგ თანიაშვილის მიერ მხატვრულად გაფორმებულ «ევეფსტყაოსნის» ხელნაწერს, რომელიც გადაწერილია გიორგი XI შაჰნავაზის ბრძანებით 1680 წელს. თუ შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ დაკვირვებებს, მივალთ შემდეგ დასკვნამდე: შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება გაცილებით უფრო ადრეულ ხანას ეკუთვნის, ვიდრე ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის მინიატურის ჩარჩობორდიური, შესრულებული XV ს. მიწურულში ქართველი ოსტატის მიერ. ამის შემდეგ განვიხილოთ თვით პორტრეტული გამოსახულება.

დიდი პოეტი გამოსახულია პირობითი ფორმის სასახლის აივანზე, რომლის ზედა ნაწილი უჭირავს სალხინობელის გამოსახულებას და მოთავსებულია წითელ ფონზე. აივნის ორივე მხარეს ამშვენებს კოშკისებური ხუთსართულიანი ნაგებობა, რომლის მარცხენა ნაწილი მოღწეულია დაზიანებული სახით.

შოთა რუსთველი ზის ფეხმორთხმით, იატაკის ხალიჩაზე, ზურგით ეყრდნობა წითელ დორს, ანუ ზურგის ბალიშს. მარცხენა ხელში პოეტს გაშლილი წიგნი უჭირავს, რომელიც მარცხენა მუხლზე უდევს. მარჯვენა ხელში უპყრია კალამი და წერს. პირველ გვერდზე იკითხება შემდეგი სიტყვებით:

ესე ამბავი
სპარცლი (sic)
ქართულად

მეორე გვერდზე კი იკითხება: ნათარგმანები
ვპოვე: და: ლექსად:
გრდეიქვი: საქმე ექენ:
საჭოჭმანები: ვთ: მრგლ.
იტი: ობოლი: ჴელის ჴელ
საგომანებით: და: ჩმნ:
ჴელმქნ
ლმან: დამმართოს ღმან:...

ტექსტი დაწერილია მრგლოვანი მხედრულით, XVII ს. ხელით, რომლის ქ: ჩანს უფრო ადრინდელი ხანის მხედრული ტექსტის მხოლოდ კვალი.

შოთას თავზე ხურავს მაღალი ბეწვის ქუდი, მუქი წითელი ფერისა, ხოლო ბეწვეული მოცემულია მრუდე ვერტიკალურად განაწილებული ხაზებით (შესრულებულია ბეწვის კალმით). ქუდი ძველ საქართველოში სხვადასხვანაირი იყო და, როგორც ირკვევა, თვითეულ სახეობას გარკვეული დანიშნულება ჰქონდა. მაგალითად, «ჴელმწიფის კარის გარიგებაში» (გვ. 1 § 6—7) წელიწადის თავის დღესასწაულის წესის თანახმად ხმარობდნენ «მაღლად აშვერილსა, მჴლოდ შეკერილსა ქუდსა». ზემოთმოყვანილ ცნობაში ქუდი, უეჭველია, ბეწვისა უნდა ვიგულისხმოთ. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ იგი

შოთა რუსთველი 1646 წ. მაჰმუდ თაქაქარაშვილი

წელიწადის თავის, ახალი წლის იანვრის, ე. ი. ზამთრის თავსაბურავი იყო.

შოთა რუსთველის ქუდს აქვს ე. წ. ანაკეცი, ანუ აფრა, რომელიც შესრულებულია ოქროთი. რაკი აფრა ყველა ქუდს არ ჰქონდა, ამიტომ ამგვარ ქუდს აფროსანი რქმევია. სიტყვა ცნობით «აფრა-ქუდის ანაკეცი, გინა ნაკის აფქიო». შოთას ტანზე აცვია მოყვითალო ფერის გრძელი ქართული კაბა გრძელი სახელოებით, რომლებიც შემკულია მოქარგული სამაჯურებით. წელზე არტყია ფარული წითელი სარტყელი. კაბის ქვედა არშია და სამაჯურები შემკულია ოქროქსოვილით. კაბის ზემოდან აცვია წითელი ფერის ყაბაჩა (ყაბარჩა), რომელიც თეძოებამდე აღწევს. ყაბარჩას ამკობს ოქროქსოვილის არშია, გარედან ბეწვეულის ვიწრო ზოლით. ყაბარჩას ზემოთ, თანახმად ძველი წესისა, მოსავს მწვანე ნამოსასხამი, გრძელი, დაშვებული სახელოებით. საყელო და ნამოსასხამის არშია შემკულია ძვირფასი ბეწვეულით. ფეხზე აცვია წითელი მოგვები.

ჩაცმულობის შედარებით შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ თარიღი. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული

შოთა რუსთაველი. ბაბასეული ხელნაწერიდან. XII—XIII სს.

ჩაცმულობა განიცდიდა ცვლილებას, ზოგი ელემენტი უცვლელი რჩებოდა. გრძელი ქართული კაბა თავდაპირველად მამაკაცის ზედა ტანსაცმელს წარმოადგენდა, რომელსაც პერანგის ზემოთ ატარებდნენ. VII საუკუნიდან მას ხარტყელი ამკობდა. მრავალი საუკუნის მანძილზე უცვლელი იყო. ხოლო გრძელ სახელოებიანი წამოსასხამი ჩნდება VI—VII სს. მიჯნაზე. (იხ. ერისმთავრთა გამოსახულებანი ჯვრის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის რელიეფზე). საფიქრებელია, რომ აღწერილი წამოსასხამი ერისთავთა ჩაცმულობის დამახასიათებელი იყო.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ბეწვეულით მორთული მოკლე ყაბარჩა მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოდის ხმარებაში. (იხ. ფავნისის ტაძრის ისტორიულ პირთა გამოსახულებანი და სხვ.), ამავე ხანას ეკუთვნის საზეიმო ჩაცმულობის მორთვა ბეწვეულით (ლაშა გიორგის გამოსახულებანი ბეთანიის, ყინცვისისა და ბერთუბნის მხატვრობაში და სხვ.).

საერთოდ პოეტის ჩაცმულობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ იგი XII საუკუნის მეორე ნახევარს, უფრო მიწურულს ეკუთვნის. იგი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელის ერისთავთ-ერისთავისა ან საშუალო კარის დიდი მოხელის საზეიმო ჩაცმულობას წარმოადგენს. ადრინდელი ბეწვეულის მაღალი ქუდი ზამთრის თავსაბურავი იყო.

ფეოდალური არისტოკრატიის ჩაცმულობის ამ სახეობას, რომელიც შოთა რუსთაველის გამოსახულებაზეა მოცემული, როგორც სათანადო შედარებითი მასალების შესწავლა ადასტურებს, ძველად «სკარამანგი» ეწოდებოდა. ამ სახელწოდების ტანსაცმელი გავრცელებული იყო ბიზანტიის კეისრის კარზე, როგორც ჩანს, უკვე IX საუკუნიდან. თვით კეისარი და კარის დიდი მოხელენი შეიმოსებოდნენ სხვადასხვა ფერის სკარამანგონით[17]. მიღებულია შეხედულება, რომ ეს ჩაცმულობა, ბიზანტიელებმა აღმოსავლეთ ქვეყნებიდან, სახელდობრ სასანიანთა ხანის ირანელებისაგან გადმოიღეს. როგორც ტექსტებიდან ირკვევა, იგი შეტწილად ორი ან სამი ნაწილისაგან შედგებოდა და ზედა და ქვედა შესამოსელი ჩვეულებრივად მწვანე და წითელი ფერის ოქროქსოვილიდან იკერებოდა; მიღებული წესის თანახმად აშიები მორთული იყო ოქროს ზოლით ან ბეწვეულით.

ქართულ საისტორიო წყაროებში სახიანი ფერადი ქსოვილის ტანსაცმელს — სკარამანგს ხშირად ვხვდებით. ვახტანგ გორგასალმა[18] სპარსეთის შეფეს «უძღვნა... ხუთასი სტავრა სკარამანგი».

სკარამანგი მოხსენებულია მელქისედეკ კათალიკოსის 1031—1033 წ. შენირულობაში[19]. «ბერძენთა მეფემან ბასილი მიბოძნა, დავსკიდენ... სკარამანგის დიდნი გარეშეოლვილნი, ვეცხლისა შეკაზმულნი (8) და ბაგრატ კურაპალატისა ნაბოძვარი დიდი სკარამანგი: ა: ს. ორბელიანის განმარტებით «სკარამანგი... არს ძვირფასად და ყვავილოვნად ნაკერი ოქროთა და ჩიგანითა».

თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით[20], რომელსაც ამეორებს ჭელიშწიფის კარის გარიგების ტექსტის ავტორი[21]: (თამარ მეფემ)... გაამინა და უბოძა ჯაბერსა მანდატურთ-უხუცესობა, და მისცა არგანი ოქროსა ჭელთა მისთა, და შეაცვეს ტანსა მისსა სკარამანგი».

ჩვენ არ ვიზიარებთ ნ. ბ. კონდაკოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას «სკარამანგეონის» ირანული წარმოშობის შესახებ. ნათელია ის გარემოება, რომ ის ტერმინი არ არის ბიზანტიური წარმოშობისა. ჩვენ მოყვანილი

---

[17] N. Kondakov. Les costumes orientaux à la cour Byzantine. Byzantion. t. I. Paris—Liège. 1924. p. 7—49.
Д. Ф. Беляев, Byzantina. I 37, 191. II 7—8. III. 125, 128, 157, 165, 184.

[18] ქართლის ცხოვრება, ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის redakcia. თბილისი, 1955, გვ. 182.

[19] ი. ლორდკიპანიძე, ქრონიკები, ტ. II, გვ. 33, ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის სპასი XI საუკუნისა. საქართველოს მეზეიმის ბიბლ. ტ. IV, 1931, გვ. 290-292.
ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბილისი, 1962, გვ. 172, 181-182.
ს. ყაუხჩიშვილი, Georgica. 5. თბილისი, 1963, გვ. 295-297.

[20] ქართლის ცხოვრება, ტ. II თბილისი, 1959, გვ. 32-33.

[21] გვ. თაყაიშვილი, ჭელიშწიფის კარის გარიგება, თბილისი, 1920

ყველნდა ბიზანტიელი ისტორიკოსის ნიკიტა ხონიატის ცნობა, რომ მაღალი თავსაბურავი და ძვირფასი იბერული ქსოვილიდან შეკერილი საზეიმო ტანსაცმელი ანდრონიკე კომნენს ჩამოტანილი ჰქონდა საქართველოდან. «ასარანგონ» უნდა იყოს ქართული წარმოშობის ტერმინი, რომელიც ორი სიტყვის შეერთებას წარმოადგენს: პირველი უდრის ქართული სიტყვის საკაროს (ე. ი. საშეფო კრისთავის განკუთვნის), ხოლო სიტყვის მეორე ნაწილი წარმოადგენს ბერძნული წარმოშობის სიტყვის გაქართულებას. შესაძლებელია, რომ ტერმინის მეორე ნაწილი «მანგი» ქართულივე წარმოშობისა იყო. იგი აღნიშნავს მთვარეს, მარგალიტს, ბრწყინვალეს (საბა «გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი». «ვეფხისტყაოსანი», 120,4).

ეს ერცელი ექსკურსი ჩაცმულობის ისტორიიდან მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ შოთა რუსთველის ჩაცმულობა ქართული წარმოშობისაა და იგი განკუთვნილი ყოფილა საშეფო კართან დაახლოებულ დიდ თანამდებობის პირთათვის.

შოთა' გამოსახულია ახალგაზრდა ვაჟკაცად. როგორც ულტრა წითელი და ულტრა იისფერი ხსოვნათა გაშუქებას და ფოტოსურათების გადაღებამ გამოარკვია, პოეტის პირისახე ნაწილობრივ გაცხოველებული ყოფილა XV საუკუნის მიწურულში, ლამაზ სახეს ამშვენებდა პატარა ულვაშები, წვერი კი შემდეგ ყოფილა მიმატებული, კერძოდ XV საუკუნის მიწურულში. გამართული წარბები, სწორი ცხვირი, მეტყველი თვალები შესანიშნავად გადმოგვცემენ დიდი პოეტის დაფიქრებულ სახეს. პირისახის მოდელირების წესები იგივეა, რაც საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული იყო ქართულ საერო მხატვრობაში. თამარ მეფის და გიორგი ლაშას პორტრეტული გამოსახულებანი ქართულ კედლის მხატვრობაში შესრულებულია ფაქიზი მანერით, რომელიც არსებითად განსხვავდება საეკლესიო მხატვრობაში მიღებული ფერწერის წესებისაგან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვარძიის, ბეთანიის და ყინცვისის ტაძრების მოხატულობაში გიორგი III დახასიათებულია, როგორც მრისხანე და ძლიერი ნებისყოფის მქონე პიროვნება, რაც საგანგებოთ შეეფერებოდა სინამდვილეს. თამარ მეფის სახე ვარძიის მოხატულობაში მიზანდეულია ქალწულობისა და სიყმაწვილის გადმოცემით. იგი ჯერ კიდევ არ არის დამძიმებული სახელმწიფოს მართვის გამოცდილებით. ვარძიაში წერის ფაქტურა დაცულია პირვანდელი სახით, მოდელირება შესრულებულია წვრილი ბეწვის კალმით და საოცარი ოსტატობით. სახის ხორცის ფერს ზემოდან დადებული აქვს მსუბუქი შეწითლება. სახე მოდელირებულია ბეწვის კალმის შტრიხებით. ბეთანიაში სახის მოდელირებაში ახლაც ჩანს დიდი ოსტატობა, მაგრამ გამომეტყველება სახისა უკვე შეცვლილია; დადებული მეფე გამოსახულია, როგორც ბრძენი მმართველი დიდი სახელმწიფოსი. ყინცვისის მოხატულობაში თამარ მეფის გამოსახულებას არსებითად მხოლოდ სახის მოხაზულობა შემორჩა, შესრულებული გასაოცარი სიფაქიზით და ოსტატობით. ამ პორტრეტული გამოსახულების შესწავლა ადასტურებს, რომ თამარ მეფის გარეგნობა და სახეთი ხავსებით მართებულად ყოფილა აღწერილი ბახილ ეზოსმოძღვრის მიერ:.... ტანსა ზომიერსა გრეშანობა თვალთა და ლაწვთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნება, მოცსკვ სედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულაზღო სიტყვს სანარნარე ზრახვისა უჩუენობა».

რუსთველის პირისახის მოდელირებას არსებითად შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე; იგი გამოირჩევა ლაკონურობით და წერის მანერის სიფაქიზით. წითურობა მოცემულია ბეწვის კალმით, მეტად მსუბუქად. შუბლის მოდელირება ლაკონური ტონით სახეს მოაზროვნე ადამიანის გამომეტყველებას ანიჭებს. საერთოდ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოდელირებითა და შესრულების მანერით რუსთველის პირისახე მეტად ენათესავება გიორგი III გამოსახულებას ბეთანიის კედლის მხატვრობაში. ნახატის სიმტკიცე, პირისახის ზოგადი მოხაზულობა, წარბების, ცხვირის და თვალების მოყვანილობა, შესრულების მანერა ადასტურებს ერთი ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ქართული საერო მხატვრობის ნაწარმოებთან.

შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება მინიატურაზე შესრულებულია XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე ქართველი მხატვრის მიერ. როგორც ულტრა-წითელ და იისფერ ხსოვნებში გაშუქებამ და ფოტოსურათების გადაღებამ გამოარკვია, (შესრულა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილ ფოტოლაბორატორიაში ამავე მუზეუმის თანამშრომელმა იგორ გალეკენდორფმა) დადგენილ იქნა, რომ შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება შესრულებულია XII — XIII სს. მიჯნაზე, საუკუნეთა მანძილზე პოეტის პირისახე ოდნავ ყოფილა გაცხოველებული XV საუკუნის მიწურულში. პოეტის ლამაზ, მეტყველ სახეს ამშვენებდა მცირე ზომის ულვაშები, წვერი კი შემდეგ ყოფილა მიმატებული, სახელდობრ XV ს. მიწურულში, როდესაც მთელი მინიატურა ჩასვამთ ორნამენტირებულ ჩარჩოში, ლამაზი მოყვანილობის პირისახე, სწორი ცხვირი, მეტყველი თვალები, ლამაზადგამართული წარბები მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ამრიგად ირკვევა, რომ ოდნავ გაცხოველებული სახით ჩვენამდე მოაღწია დიდი ქართველი პოეტის თანადროულმა პორტრეტულმა გამოსახულებამ.

---

2. „საქართველოს ხელოვნება", № 8.